



დამტკიცებულია შპს –ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორის
08 ივნისის 2018 წლის №2/48 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის ეთიკის კოდექსი და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ნორმები

მუხლი 1. შესავალი დებულებანი

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია (შემდგომში - აკადემია) წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და პერსონალისათვის არის ერთიანი სივრცე.
2. აკადემია თავისი არსით მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებაში, რისთვისაც საჭიროა ეთიკური ნორმების დაცვა.
3. ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) წარმოადგენს აკადემიის თანამშრომლებისა და სტუდენტების ეთიკური პრინციპების, ღირებულებებისა და ქცევის ფორმულირებას.
4. კოდექსი მიზნად ისახავს დაეხმაროს აკადემიის თანამშრომლებსა და პროფესიულ სტუდენტებს(შემდგომში სტუდენტი) იმ ეთიკური საკითხების გადაჭრასა და დადგენაში, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათი მუშაობისა თუ სწავლის პერიოდში.

მუხლი 2. ძირითადი პრინციპები

1. აკადემიის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის წესდებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.
2. სტუდენტი იზიარებს აკადემიის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ღირებულებებს და იცავს ამ კოდექსით დადგენილ წესრიგს.

მუხლი 3. სტუდენტთა ეთიკის საერთო წესები

1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:
 - ა) სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა (ლექციაზე ხმაური, მობილური ტელეფონით სარგებლობა, დერეფანში აურზაური და სხვა);
 - ბ) მოწვევა საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;
 - გ) ალკოჰოლური სასმელების აკადემიის შენობაში შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;
 - დ) აკადემიის ტერიტორიაზე აზარტული თამაშები;
 - ე) ინვენტარით სარგებლობის წესის დარღვევა (მერხებზე წარწერების გაკეთება, კომპიუტერების, ლაბორატორიული მოწყობილობების, სასწავლო ავეჯისა და ინვენტარის დაზიანება);
 - ვ) აკადემიის ტერიტორიის დანაგვიანება, შენობის იერსახის დამახინჯება, ნარგავების დაზიანება;
 - ზ) ბილწსიტყვაობა.
- თ) ნარკოტიკული და/ან ფსიქოტროპული საშუალებების აკადემიის შენობაში შემოტანა, გავრცელება და/ან გამოყენება;
- ი) ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის აკადემიის შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება;
- კ) ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების აკადემიის შენობაში შემოტანა და/ან გავრცელება, რომლებიც ხანძრის და/ან აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნიან;
- ლ) ძალადობა, ფიზიკური და/ან სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა სტუდენტების ან თანამშრომლებისათვის.

2. აკადემიის სტუდენტი ვალდებულია, არ დაიგვიანოს ლექციებსა და სხვა სახის სასწავლო ღონისძიებებზე.

მუხლი 3. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული წესები

1. სტუდენტისთვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება შემდეგი აკადემიური სიყალბე:

- ა) გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, ან გამოყენება სხვა სახის დამხმარე მასალისა, (ე.წ. „შპარგალკა“);
- ბ) სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წარმოჩენა.
- გ) ხელის შეშლა სხვა სტუდენტისათვის სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;
- დ) სხვა სტუდენტისათვის აკადემიური სიყალბის ჩადენაში ხელის შეწყობა;
- ე) პლაგიატი
- ვ) სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება, ან სხვა პირის შეგზავნა გამოცდის ჩასაბარებლად;
- ზ) გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება და/ან გავრცელება;
- თ) სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;
- ი) აკადემიის მონაცემების გაყალბება;
- კ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელებზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 4. აკადემიის პერსონალის ეთიკის ნორმები

- 1. პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები აკადემიის ძირითადი საქმიანობის წარმმართველი ძალაა. მათ ეკისრებათ მოვალეობა მიიღონ აქტიური მონაწილეობა აკადემიის საზოგადოებრივ თუ საორგანიზაციო საქმიანობაში.
- 2. თავი უნდა შეიკავონ აკადემიის ფარგლებს გარეთ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა, თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას.
- 3. დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ აკადემიის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები საქმიანობის სრულად განსახორციელებლად.
- 4. სამართლიანად და პატივისცემით უნდა მოეპყრონ აკადემიის ყველა თანამშრომელსა და სტუდენტს.
- 5. დროულად უნდა აცნობონ აკადემიის ადმინისტრაციას სამსახურის დატოვების შესახებ.

მუხლი 5. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხები

- 1. საკითხი როგორც არ არის დარეგულირებული ამ კოდექსში რეგულირდება შრომის შინაგანაწესით.